ტექნოლოგიური ინოვაციების პროგრამა (TIP)
მინი გრანტების კონკურსი - 2014
კონკურსის პირობები

საგრანტე განაცხადის მიღების ბოლო ვადაა: 2014 წლის 6 ნოემბერი
(18:00 თბილისის დროით)

I. კონკურსის ზოგადი დებულებები

კონკურსის გამოცხადება	6 ოქტომბერი 2014 წ.
განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადა	6 ნოემბერი, 2014 წ.
საგრანტო განაცხადის წარმოდგენის ფორმა:	საგრანტო განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე როგორც ელექტრონული სახით (ელ-ფოსტა) ან კომპაქტდისკზე (CD-R), ისე ნაბეჭდი ვერსია.
პროგრამის მთავარი მიზანი:	პროგრამის მიზანია ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინოს ისეთი იდეის ან მეცნიერებაზე და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული პროდუქტის, კვლევის ან მომსახურების განვითარებას და/ან დანერგვას, რომელსაც გააჩნია კომერციული პოტენციალი და გამოიწვევს ტექნოლოგიაზე ორიენტირებული ახალი ტიპის მომსახურების გაჩენას, წარმოების პროცესის გაღრმავებას, არსებული პროდუქტის გაფართოვებასა და კომერციული პროცესების გამოყენებას საქართველოს ეკონომიკისა და საზოგადოებისათვის.
კონკურსში მონაწილეობის ძირითადი მოთხოვნები	1. საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები, მათ შორის სტუდენტები, მკვლევარები, მეწარმეები, საწარმოების თანამშრომლები, რომლებსაც გააჩნიათ შემოქმედებითი ინოვაციური იდეები;

	2. საქართველოში რეგისტრირებული არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციები, კვლევითი ორგანიზაციები და უნივერსიტეტები.
გრანტის ოდენობა	50 000 ლარამდე თითო პროექტზე
დამატებითი ინფორმაცია იხ:	www.gita.gov.ge

II. შესავალი

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“) იწვევს ყველა დაინტერესებულ და უფლებამოსილ ინოვატორებს მონაწილეობა მიიღონ მინი გრანტების კონკურსში. სააგენტო აღიარებს, რომ ბევრი ინდივიდუალური ინოვატორის, კომპანიების და მკვლევარებისთვის რთულია განახორციელონ მნიშვნელოვანი ფინანსური ინვესტიციები, რომლებიც ტექნოლოგიის განვითარების ციკლის და კვლევების შედეგების კომერციულ პროდუქტად გადაქცევის მაღალ ღირებულებასთანაა დაკავშირებული. ტექნოლოგიური ინოვაციების მინი გრანტების კონკურსის პროგრამის მიზანია თავისი ფინანსური მხარდაჭერით, ხელი შეუწყოს სტუდენტებს, მკვლევარებს, ინოვატორებსა და მეწარმეებს ჩაერთონ ახალი ტექნოლოგიების გამოვლენაში და არსებული ტექნოლოგიების გაუმჯობესებაში, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც კომერციულად, ისე საქართველოში ახალი ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ბიზნესის მშენებლობის მიმართულებით ყველა სფეროსა და მომსახურებაში.

აპლიკანტს შეუძლია მოიძიოს დამატებითი თანადაფინანსება მესამე პირებისაგან. ამ პროგრამის ფარგლებში მიღებული ფულადი სახსრები გამოყენებული უნდა იყოს პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული დანახარჯების დასაფარად.

III. საგრანტო კონკურსის ზოგადი ჩარჩოები

ტექნოლოგიური ინოვაციების პროგრამის მიზანია, ფინანსური დახმარების გზით ხელი შეუწყოს საქართველოში ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებასა და კომერციალიზაციას. მინი გრანტების კონკურსის მიზანია, ხელი შეუწყოს ისეთი ინოვაციური იდეების იდენტიფიცირებასა და წარმოჩენას, რომლებიც კომერციული პოტენციალის მაღალი დონით გამოირჩევა და გავლენა ექნებათ საქართველოს ეკონომიკაზე. აპლიკანტებმა უნდა აჩვენონ, რომ 1-2 წლის განმავლობაში, პროექტის წარმატებით დასრულებისას, შესაძლებელი იქნება არსებულ კომპანიებისთვის ლიცენზიის გაყიდვა ან შექმნილი ტექნოლოგიის ბაზაზე ახალი სტარტ-აპ კომპანიის დაფუძნება.

ამ პროგრამის მთავარი მიზანია საქართველოს ინოვაციური შესაძლებლობების გაზრდა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება:

- ინოვაციის აქსელერაციისა და ახალი ტექნოლოგიისა და პროდუქტის კომერციალიზაციის მოდელის შექმნით,
- კვლევით საზოგადოებასთან თანამშრომლობით, ახალი ქართული კომპანიებისათვის ბაზისის შექმნით და არსებული საწარმოებისათვის შესაძლებლობების გაფართოვებით;
- საქართველოსათვის კრიტიკული პრობლემების ახალი გადაწყვეტილებების იდენტიფიცირებით;

- ინოვაციური და სამეწარმეო კულტურის ხელშეწყობით;
- ტექნოლოგიებსა და მეწარმეობაში შესაბამისი უნარების განვითარებით;
- საქართველოში სამეწარმეო, ინოვაციური და ტექნოლოგიების განვითარებასთან დაკავშირებული რისკების შემცირებით.

აპლიკანტების მიერ დაფინანსებისთვის შემოთავაზებული განაცხადები მიზნად უნდა ისახავდეს ბაზარზე ორიენტირებული ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ახალი პროდუქტის, პროცესის ან სერვისის შექმნას და/ან მის კომერციული სიცოცხლისუნარიანობის შემდგომ განვითარებას. პროგრამა ხელს შეუწყობს ისეთი პროდუქტის, პროცესის ან მომსახურების ინოვაციას, რომელიც ახალია გლობალური ბაზრისთვის, სექტორის/რეგიონის ან ბაზრის სეგმენტისთვის.

პროექტი შესაძლებელია განხორციელდეს როგორც შიდა რესურსების გამოყენებით, ასევე მოწვეული კონსულტანტების და/ან კვლევითი ორგანიზაციების დახმარებით.

გუნდებს, რომლებიც წარმოდგენილნი არიან აკადემიური მკვლევარებით, ბიზნეს კონსულტანტებით და/ან ახალგაზრდა ინოვატორებით, მიეცემათ უპირატესობა.

სააგენტო თითოეულ პროექტზე უზრუნველყოფს ფინანსურ გრანტს 50 000 ლარის ოდენობით. აპლიკანტებს **შეუძლია მოიძიონ დამატებითი თანადაფინანსება მესამე პირებისაგან.** პროექტის ფარგლებში გამოყოფილი ყველა სახის ფინანსები, გამოყენებული უნდა იქნას პროექტის დამტკიცებული ხარჯების დასაფარად. ფინალისტები საგრანტო თანხას მიიღებენ სააგენტოს გრანტის ფორმით და ვალდებულნი იქნებიან დაიცვან საგრანტო ანგარიშგების მოთხოვნა.

IV. კონკურსის ვადები

მინი გრანტების კონკურსი	დაწყება	დასრულება
ეტაპი 1: მინი გრანტების კონკურსის განაცხადის მიხედვით, საგრანტო განაცხადის მომზადების პერიოდში სააგენტო მონაწილეებს გაუწევს კონსულტაციებს	6 ოქტომბერი, 2014 წ.	განაცხადის შეტანის ბოლო ვადა - 6 ნოემბერი, 2014 წ.
ეტაპი 2: ერთ-დღიანი ტრენინგი განაცხადის წერასა და ბიზნეს დაგეგმარებაში	16 ოქტომბერი, 2014 წ.	16 ოქტომბერი, 2014 წ.
ეტაპი 3: ექსპერტების მიერ განაცხადების შეფასება გამარჯვებულების)	ნოემბერი, 2014 წ.	ნოემბერი, 2014 წ.
ეტაპი 4: მოსამზადებელი პერიოდი და	დეკემბერი, 2014 წ.	დეკემბერი, 2014 წ.

საგრანტო დაფინანსების ხელშეკრულებების ხელის მოწერა. პროექტის განხორციელების დაწყება		

V. **სუბიექტები**

კონკურსი ღიაა ყველა სფეროს ტექნოლოგიისათვის, რომელიც წარმოდგენილია საგრანტე პროგრამით დადგენილი პრიორიტეტებისა და მიზნების გათვალისწინებით მომზადებული საგრანტო განაცხადის ფორმით. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აპლიკანტმა ნათლად უნდა აღწეროს პროექტის განვითარების და მისი პროდუქტის ან სერვისის კომერციალიზაციის გეგმა. **საგრანტე კონკურსის ფარგლებში ფუნდამენტური კვლევის პროექტები არ დაფინანსდება.** სააგენტო ხელს უწყობს კონკურსში ახალგაზრდა მეცნიერების, ინოვატორებისა და მეწარმეების მონაწილეობას. **წინადადებას, რომელიც ორიენტირებულია პროექტის მიმდინარეობის დროს შემოსავლებისა და ტექნოლოგიის განვითარებაზე დამატებითი დაფინანსების მოძიებაზე, აგრეთვე სტარტ-აპის შექმნაზე, მიენიჭება უპირატესობა.**

აპლიკანტები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- ფიზიკური პირები (მათ შორის სტუდენტები, მკვლევარები, მეწარმეები და საწარმოების თანამშრომლები) უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები;
- საქართველოში რეგისტრირებული არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციები და კვლევითი დაწესებულებები;
- გუნდი შეიძლება შედგებოდეს ერთი ან მეტი ადამიანისგან და/ან ინსტიტუტისაგან. ორი ან მეტი პირისგან შემდგარი გუნდის შემთხვევაში, აპლიკანტის ხელმძღვანელი მიჩნეული იქნება გრანტის მიმღებად;
- ყველა პროექტი უნდა იყოს ტექნოლოგიაზე დაფუძნებული.

VI. თანხების გამოყენება

თანხების ძირითადი ნაწილი გამოყენებული უნდა იქნას ტექნოლოგიის განვითარებისკენ მიმართულ აქტივობებზე, მათ შორის: კონცეფციის დამტკიცებისა და პროტოტიპირების საქმიანობაზე, ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და საწყისი კაპიტალის მობილიზაციისთვის ბიზნეს გეგმის მომზადებაზე. **პროექტი, რომელიც ყურადღებას გაამახვილებს ფუნდამენტურ კვლევაზე ამ პროგრამის ფარგლებში საგრანტო დაფინანსებას ვერ მიიღებს.** ზოგიერთი ძირითადი საქმიანობა, რომელიც დაფარული იქნება გრანტის ფარგლებში:

- ინჟინერია და პროდუქტის დიზაინი

- პროტოტიპის განვითარება და ტესტირება
- საპილოტო წარმოება და აპლიკაცია
- მოწყობილობა ტესტირებასა და წარმოებისათვის
- ბაზრის ტესტირება
- ბაზრის კვლევა
- დაპატენტების (ეროვნული, PCT და საერთაშორისო დონეზე) და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სტრატეგიის შემუშავება

დამატებით შესაძლებელია დაფინანსდეს:

- კვლევის და ტექნოლოგიური განვითარების ექსპერტების / მრჩევლების მომსახურება
- განვითარების / ბიზნეს კონსულტაცია
- იურიდიული მხარდაჭერა
- სხვა ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია ტექნოლოგიაზე დაფუძნებული პროდუქტების, მომსახურებისა და პროცესების განვითარებასა და / ან კომერციალიზაციასთან.

სააგენტო რეკომენდაციას უწევს აპლიკანტებს, რომ პროექტის ბიუჯეტის სტრუქტურირება და ხარჯების ორგანიზება მოხდეს შემდეგნაირად:

- **ხელფასები:** მაქსიმუმ პროექტის ბიუჯეტის 30% (მათ შორის, სოციალური ანარიცხები და გადასახადები პროექტზე მომუშავე თანამშრომლებისთვის);
- **მცირე აღჭურვილობა და მასალები კვლევასა და ტექნოლოგიური განვითარებისათვის:** პროექტის ბიუჯეტის დაახლოებით 40%;
- **საოფისე ხარჯები:** პროექტის ბიუჯეტის დაახლოებით 5%;
- **პროტოტიპის განვითარების ხარჯები** (მასალა, მეცნიერების და ინჟინრების მომსახურება, ქვეკონტრაქტები, ტესტირება): დაახლოებით პროექტის ბიუჯეტის 40%. *(ყველა შეთანხმება მესამე პირებთან უნდა შეიცავდეს დებულებას, რომ აპლიკანტი ინარჩუნებს საკუთრებას ინტელექტუალური საკუთრების ყველა ახალ ობიექტზე, რომელიც შეიძლება შეიქმნას პროექტის განხორციელების დროს);*
- **საპატენტო განაცხადი და საფასური, სერთიფიცირება:** პროექტის ბიუჯეტის დაახლოებით 30%.
- **ბიზნეს და იურიდიული მომსახურება:** სულ პროექტის ბიუჯეტის დაახლოებით 40%.

ყველა ხარჯი/ფასები ბიუჯეტში უნდა იყოს დათვლილი და წარმოდგენილი მთლიანი ოდენობით (გადასახადები, შენატანები, დღგ და ა.შ.)

მაქსიმალური ყოველთვიური სახელფასო განაკვეთი:

<u>პოზიცია</u>	<u>მაქსიმალური თვიური განაკვეთი</u>
გუნდის წევრები და პროფესიონალი კადრები	1200 ლარი

სტუდენტები	400 ლარი
ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი	400 ლარი

ყველა განაცხადის უნიკალურობის გათვალისწინებით, ზემოთ აღნიშნული პროცენტული მაჩვენებლები უნდა იყოს მორგებული საგრანტო განაცხადის მიზნებზე და ნათლად უნდა შეესაბამებოდეს საგრანტო განაცხადის ამოცანებს.

ხარჯები, რომელიც სააგენტოს მიერ დაფინანსებისთვის არ განიხილება:

- წილი ან ვალი, რომელიც გააჩნია ნებისმიერ მხარეს;
- ხარჯები და უზრუნველყოფა მომავალში შესაძლო დანაკარგზე ან ვალებზე;
- ერთეულები, რომლებიც უკვე დაფინანსდა სხვა პროგრამის, კომპანიის/ ინსტიტუტის მიერ;
- ვალუტის გაცვლითი დანაკარგები, გადასახადი და ჯარიმები;
- ტექნოლოგიის, პროდუქტის ან მომსახურების სტიმულირებისთვის მარკეტინგის, გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯები;
- გართობისა და სტუმარმასპინძლობის ხარჯები;
- დასაქმების, გადაადგილების ან ნაბეჭდი მასალის გამოწერის ხარჯები;
- მიწის ან შენობის შეძენა, მათ შორის, რემონტი;
- მანქანის შეძენა;
- სხვა ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული საგრანტო პროგრამის მიზნებთან.

გამარჯვებული გუნდები ვალდებულნი არიან მიღებული თანხა გამოიყენონ მხოლოდ იმ ნივთების და მომსახურების შესაძენად, რაც აუცილებელია პროექტის წარმოებისთვის და განსაზღვრულია პროექტის ბიუჯეტით; ეს ნივთები შეძენილი უნდა იქნას მაქსიმალურად დაბალი ფასით და გამჭირვალე პროცესით. სააგენტო აწარმოებს შესყიდვების მონიტორინგს ანგარიშფაქტურების და კონტრაქტების საფუძველზე. ნებისმიერი ინფორმაცია კონტრაქტის შესახებ და პროექტთან დაკავშირებული ობიექტები/ნივთები ხელმისაწვდომი უნდა იყოს სააგენტოს თანამშრომლებისთვის აუდიტის ჩასატარებლად.

VII. საგრანტო განაცხადის შევსების ინსტრუქცია და შეფასების კრიტერიუმები

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, უფლებამოსილმა კანდიდატმა საგრანტო განაცხადი უნდა გაგზავნოს ელექტრონული სახით ელ-ფოსტაზე: minigrants@gita.gov.ge ან კომპაქდისკზე და წარადგინოს ამობეჭდილი და ხელმოწერილი ვერსია სააგენტოს ოფისში: ქ. თბილისი, სულხან საბას ქუჩა #9. საგრანტო განაცხადის მიღება იწარმოება 2014 წლის **6 ოქტომბრიდან - 6 ნოემბერის 18:00-დე.**

საგრანტო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი ფორმით *(ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენაზე):*

1. სააპლიკაციო ფორმა PDF-ისა და Word-ის ფორმატში
2. თანადამფინანსებლის ვალდებულების წერილი *(თანადამფინანსებელი ორგანიზაციის არსებობის შემთხვევაში)*
3. პროექტის ბიუჯეტი
4. გუნდის ყველა წევრის CV

ყველა განაცხადის ფორმა უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ და ინგლისურ ენებზე. აპლიკანტებმა უნდა გამოიყენონ ელექტრონული შაბლონი Word-ის დოკუმენტის სახით სააგენტოს საიტზე: www.gita.gov.ge
სააგენტოს მიერ საგრანტო განაცხადის მიღების შემდეგ გუნდის ლიდერი მიიღებს დადასტურებას.

გუნდებს უნდა ჰყავდეს დანიშნული გუნდის ლიდერი.

საგრანტო განაცხადები შეფასებული და რანჟირებული იქნება დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ როგორც საქართველოდან, ისე საზღვარგარეთიდან, შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით:

1. *კომერციული პოტენციალი:* რამდენად ექნება მოსალოდნელ შედეგებს კომერციული ღირებულება? იქნება თუ არა პროექტი ახალი ან გაუმჯობესებული ტექნოლოგიის საფუძველი? რამდენად ნათელია ტექნოლოგიის სამომავლო კომერციალიზაციული პოტენციური? – 15%

2. *ინოვაციის დონე და ტიპი:* არის ეს ტექნოლოგიურად შესაძლებელი? რამდენად მიმართულია ბაზარზე არსებული პრობლემის გადაწყვეტაზე? წარმოდგენილი ტექნოლოგია ახალია სექტორში/რეგიონში ან თუნდაც სეგმენტისთვის? ინოვაციის გამოყენებადობა და უნიკალურობა. რამდენად ნათლად არის ასახული ინტელექტუალრი საკუთრების პოზიცია - 20%

3. *ბაზრის და მომხმარებლის მოთხოვნების ანალიზი და საკონკურენტო გარემო:* როგორ პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს ტექნოლოგია ან მისი შესაძლებლობები? რამდენად ადეკვატურად აღწერენ ბაზარს აპლიკანტები? რამდენად სწორი წარმოიდგენა აქვთ აპლიკანტებს ბაზრის და პოტენციური კონკურენტების შესახებ? – 20%

4. *სტრატეგია:* გააჩნიათ აპლიკანტებს რეალური სტრატეგია/გეგმა? რამდენად ნათელია ტექნიკური და ბიზნეს გეგმები? რამდენად ნათლად არის წარმოჩენილი პროექტის განხორციელების გეგმა? რამდენად ნათელია მიზნები, მეთოდოლოგია, შედეგები და ხარჯები? რამდენად ნათლად არის წარდგენილი პოტენციური შემოსავლები,

პარტნიორობა ქართველ/უცხოელ კორპორაციებთან პროექტის დაწყებიდან 1-2 წლის განმავლობაში? - 20%

5. *ბიუჯეტი:* რამდენად ადეკვატურია ბიუჯეტი დაგეგმილი ტექნიკური და ბიზნეს გეგმების განსახორციელებლად? – 10%

6. *გუნდის შესაძლებლობები:* გააჩნია გუნდს ტექნიკური და/ან ბიზნეს გამოცდილება, რომელიც აუცილებელია ტექნიკური და კომერციული მიზნების მისაღწევად? გუნდის ცოდნა და ინოვაციურ და ტექნოლოგიურ პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება. – 15%

VIII. შერჩევის პროცესი

➢ **ეტაპი 1: ტრენინგი განაცხადის წერაზე**

<u>16 ოქტომბერი, 2014</u>

ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს მონაწილეობა მიიღოს ერთ-დღიან ტრენინგში განაცხადის წერაში, რომელსაც ჩაატარებენ მოწვეული ექსპერტები. ტრენინგი ჩატარდება სასტუმრო **Radisson Blu Iveria** (მისამართი: ვარდების რევოლუციის მოედანი 1), 11:00-13:00 საათზე.

➢ **ეტაპი 2: საგრანტო განაცხადის წარმოდგენა**

<u>6 ოქტომბერი - 6 ნოემბერი, 2014</u>

სააპლიკაციო ფორმები, პროექტის ბიუჯეტი და გუნდის ყველა წევრის ბიოგრაფია სააგენტოში წარმოდგენილი უნდა იყოს VII თავში ჩამოთვლილი ფორმით და ვადებში.

➢ **ეტაპი 3: განხილვა და შეფასება, გამარჯვებულების გამოვლენა**

<u>ნოემბერი, 2014</u>

ყველა საგრანტო განაცხადს, რომელიც აკმაყოფილებს საკონკურსო პროგრამის კრიტერიუმებს, შეფასებული იქნება დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ. საგრანტო განაცხადის შეფასება გამოითვლება მიღებული საექსპერტო შეფასებების საშუალო არითმეტიკულით.

➢ **ეტაპი 4. გადაწყვეტილება პროექტის დაფინანსებაზე**

<u>დეკემბერი, 2014</u>

მინი გრანტების კონკურსის ფარგლებში დაფინანსების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება სააგენტოს საგრანტო საბჭოს მიერ. სააგენტოს საგრანტო საბჭო თავის საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კონკურსზე წარმოდგენილი საგრანტო განაცხადის და ექსპერტების მიერ განაცხადის შეფასების საფუძველზე. დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, გამარჯვებულ გუნდებთან გაფორმდება საგრანტო დაფინანსების ხელშეკრულება.

IX. ჯილდოს ადმინისტრაციის წესები და პირობები

გრანტების ფინანსურ და სახელშეკრულებო მართვასთან დაკავშირებული სააგენტოს პოლიტიკასა და პროცედურების შესახებ დამატებითი ინფორმაცია აპლიკანტს შეუძლია მოიძიოს სააგენტოს საიტზე: www.gita.gov.ge

X. განაცხადის საბოლოო ვერსია

სააგენტოს მინი გრანტების კონკურსის პირობები გამოცემულია ქართულ და ინგლისურ ენებზე. უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ტექსტს.

XI. ინტელექტუალური საკუთრება

ინტელექტუალური საკუთრების ყველა ახალი ობიექტი, რომელიც შესაძლებელია შეიქმნას პროექტის განხორციელების პერიოდში, ეკუთვნის აპლიკანტს. აპლიკანტმა უნდა უზრუნველყოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვა ნებისმიერ მესამე პირთან ხელშეკრულების გაფორმებისას.

სააგენტო არ ითხოვს არანაირ ინტელექტუალური საკუთრების უფლებას ამ პროგრამის საგრანტო დაფინანსების ფარგლებში.

XII.დამატებითი ინფორმაცია და მხარდაჭერა

კონსულტაციები დაინტერესებული გუნდებისთვის გაიმართება სააგენტოს ოფისში.
მისამართი: ქ. თბილისი, სულხან-საბას #9
კონსულტაციების დღეებია: ორშაბათი და ხუთშაბათი 11:00-13:00 სთ.
ტელ: +995 32 2 922120

საკონტაქტო პირები:
ნინო კუნცევა-გაბაშვილი
e-mail: nkuntseva-gabashvili@gita.gov.ge

მერაბ კუცია
e-mail: mkutsia@gita.gov.ge